განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

“ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
(ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები)”

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

25.02.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

08.04.2020

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საჯარო სამართლის იურიდიული პირი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204861970 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) |
| განათლების საფეხური | - |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 60 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დიანა მჭედლიშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქეთევან ქობალია, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) შემუშავდა 2019 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ბაზაზე. პროგრამის მიზანია მოამზადოს დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები) ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი, რომელსაც გააჩნია წარმატებული პროფესიული საქმინობისათვის შესაბამისი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ღირებულებები და შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს.

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან. პროგრამა ითვალისწინებს როგორც თეორიულ სწავლებას, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარებას.

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს:

- პედაგოგიკა - ფსიქოლოგიის ბლოკს - 27 კრედიტი;
- სასკოლო პრაქტიკის ბლოკს - 6 კრედიტი;
- საგნების სწავლების ბლოკს - 27 კრედიტი:
    - ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება - 12 კრედიტი;
    - მათემატიკის სწავლება - 9 კრედიტი;
    - ბუნებისმეტყველების სწავლება - 6 კრედიტი.

სასკოლო პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება სწავლების პირველივე სემესტრიდან ორი ფორმატით:
1. სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა;
2. სასკოლო პრაქტიკა.

სასკოლო პრაქტიკის წარმოდგენილი მოდელის პილოტირება განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების არსებული პროგრამების ფარგლებში. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია პილოტირების შედეგები, რაც ეყრდნობა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პრაქტიკის ხელმძღვანელ მასწავლებლებთან და სკოლის დირექტორებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფებისა და ინტერვიუების შედეგებს, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან პრაქტიკის განხორციელების პროცესში მიღებულ უკუკავშირს.

პროგრამის განხორცილებაში ჩართულია დარგის გამორჩეული სპეციალისტებისგან შემდგარი 14 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის 6 აფილირებული აკადემიური პერსონალი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 23 იანვრის MES 7 20 00066491 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო

პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, აკრედიტაციის მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები)“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, 2020 წლის 25 თებერვალს განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიზანი იყო წარმოდგენილი პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ექსპერტთა ჯგუფს წინასწარ მიეწოდა უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარმოდგენილი პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტი.

ვიზიტის განმავლობაში შეხვედრები გაიმართა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის წევრებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე მოახდინა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ლაბორატორიებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება პროგრამის შეუფერხებლად და ხარისხიანად განხორციელების შესაძლებლობის შემოწმების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაბამისი სამუშაო პირობები თავისი საქმიანობის ეფექტიანად განსახორციელებლად. სამუშაო გარემო იყო თანამშრომლობითი და საქმიანი. ვიზიტის დასრულების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს ძირითადი მიგნებები გააცნო.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ოთხი სტანდარტი შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. მხოლოდ მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ვინაიდან 2.2 და 2.3 ქვე-სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

- **რეკომენდაციები**

  - (2.2) რეკომენდებულია, განესაზღვროს „მათემატიკის სწავლების მეთოდიკა დაწყებით საფეხურზე“ და „მათემატიკის სწავლება დაწყებით საფეხურზე ინკლუზიური განათლების პირობებში“ სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები.
  - (2.3) რეკომენდებულია, „ბუნებისმეტყველების სწავლების საფუძვლები დაწყებით საფეხურზე“ და „ბუნებისმეტყველების სწავლების თანამედროვე მიდგომები“ სასწავლო კურსების შედეგები გაიწეროს უფრო მკაფიოდ და კონკრეტული კურსის შინაარსზე მორგებულად.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - (2.4) სასურველია, შემუშავდეს პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში პრაქტიკის ხელმძღვანელ მასწავლებელსა და კურსის ხელმძღვანელს შორის თანამშრომლობის გაძლიერების მექანიზმი.

- (3.1) სასურველია, სილაბუსებში გაიწეროს სტუდენტებთან დამატებითი საკონსულტაციო საათების რაოდენობა.
- (3.1) სასურველია, სტუდენტებმა მიიღონ უკუკავშირი ლექტორების სემესტრულად განხორციელებადი შეფასების შედეგებზე დაყრდნობით ადმინისტრაციის მხრიდან გატარებული ღონისძიებების შესახებ.
- (4.1) სასურველია, განახლდეს პროგრამაში ჩართული ზოგიერთი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმე.
- (4.1) სასურველია, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში განახლდეს ინფორმაცია პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- (1.2) სწავლის შედეგების შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები და ინსტრუმენტები (პრაქტიკის ანგარიშები, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების სისტემა და შესაბამისი ინსტრუმენტები, პორტფოლიოები და სხვ.).
- (4.1) პროგრამის განხორციელაბაში ჩართული გამოცდილი და მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი.
- (5.1) პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის გუნდური მუშაობა, კოლეგიური და თანამშრომლობითი გარემო.

▪ **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) მიზანია მოამზადოს დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები) ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი, რომელსაც გააჩნია წარმატებული პროფესიული საქმინობისათვის შესაბამისი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ღირებულებები და შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს.<br>პროგრამის მიზანი შემუშავებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, ასევე, პოტენციურ დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და მასწავლებლებთან ჩატარებული კვლევის შედეგებზე და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მასწავლებელთა დეფიციტის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით. პროგრამა ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე, ითვალისწინებს რა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელს და სწავლა-სწავლების თანამედროვე და ინოვაციურ მიდგომებს.<br>პროგრამის მიზნები შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის მთავარი პრინციპია ცოდნის შექმნა, გადაცემა და გამოყენება მეცნიერების წინსვლისა და საზოგადოების განვითარებისათვის. პროგრამის მიზნები ასევე შესაბამისობაშია ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სტრატეგიასა და განათლების სკოლის დებულებით განსაზღვრულ მისიასა და მიზნებთან, მოამზადოს განათლების სფეროს წარმატებული სპეციალისტები.<br>ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები);
- პროგრამის შემუშავების კვლევა;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის "მასწავლებელთა დეფიციტის კვლევა" მონაცემები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/misia-2 ;
- ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სტრატეგია
- განათლების სკოლის დებულება;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://iliauni.edu.ge/ge/;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, ეყრდნობა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელსა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-6 დონით განსაზღვრულ აღმწერს, რომელიც შეესაბამება მასწავლებლის მომზადების სასერტიფიკატო პროგრამებს. პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს მისი შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს, რომლებიც შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამას აქვს განსაზღვრული ოთხი ძირითადი გამსხვილებული სწავლის შედეგი, რომლებიც არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. მათი მიღწევადობის გასაზომად შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

ინტერვიუს შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრის პროცესში ჩართული იყვნენ დაინტერესებული მხარეები - აკადემიური და მოწვეული პერსონალი, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პოტენციური დამსაქმებლები (სკოლის დირექტორები), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტები, არსებული დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო და მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზანია დადგინდეს, რამდენად არის მიღწეული პროგრამის სწავლის შედეგები და რამდენად პასუხობს ის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელს, სტუდენტებისა და პოტენციური დამსაქმებლების საჭიროებებსა და მოთხოვნებს; ასევე, დადგინდეს პროგრამის განხორციელების პროცესში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები, დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი ინტერვენციები პროგრამის განვითარებისა და მისი მუდმივი სრულყოფისათვის.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი (მაგ. სტუდენტების ნამუშევრების ანალიზი), ისე არაპირდაპირი (მაგ. სტუდენტების,

| |
|---|
| დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები) მეთოდები. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისას გამოიყენება ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა პრაქტიკის ანგარიშები, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების სისტემა და შესაბამისი ინსტრუმენტები, პორტფოლიოები და სხვ.<br>პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ძირითად ინდიკატორად გამოყენებული იქნება სასკოლო პრაქტიკის კურსში განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მტკიცებულებები, ასევე, შემაჯამებელ პორტფოლიოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან, რადგან მათში აკუმულირებულია პროგრამის ყველა სწავლის შედეგი, რაც საშუალებას იძლევა შეჯამდეს პროგრამის კურსებში მიღებული ცოდნა და გამოცდილება.<br>პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული შეფასების სტანდარტიზებული რუბრიკებითა http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/instrumentebi.pdf და/ან იმ კურსის სილაბუსით განსაზღვრული შეფასების ინსტრუმენტებით, რომელი კურსის ფარგლებშიც განხორციელდება მტკიცებულებად წარმოდგენილი აქტივობა.<br>მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამის ფარგლებში შეძენილი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები სტუდენტმა კომპლექსურად უნდა გამოავლინოს მის მიერ განხორციელებულ შემდეგ სასწავლო აქტივობებში, რომლებსაც ადასტურებს სასკოლო პრაქტიკის კურსში და შემაჯამებელ პორტფოლიოში:<br>• თემატური და გაკვეთილის გეგმა;<br>• გაკვეთილის ვიდეოჩანაწერი;<br>• საუკეთესო ნაშრომები;<br>• პროფესიული განვითარების გეგმა.<br><br>პროგრამას სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისას პროგრამაზე მომუშავე ჯგუფმა იხელმძღვანელა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე / უცხო ენა) შესაბამისი სწავლის შედეგების შეფასების მონაცემებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საგანმანათლებლო პროგრამა; |

- სწავლის შედეგების რუკა;
- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების კვლევა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი;
- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- შეხვედრების ოქმები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები (მათ შორის სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის კითხვარები);
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- სწავლის შედეგების შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები და ინსტრუმენტები (პრაქტიკის ანგარიშები, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების სისტემა და შესაბამისი ინსტრუმენტები, პორტფოლიოები და სხვ.)

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი საგნობრივი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ფორმა და შეფასების კრიტერიუმები წინასწარ ცნობილია აპლიკანტებისთვის და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ყოველწლიურად ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების პირობების და მიღებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაციის განთავსება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; |

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმებს. პროგრამის კომპონენტები გადანაწილებულია 2 სემესტრის განმავლობაში და მოიცავს 60 ECTS

კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტს). პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან და მიმართულია მასწავლებლისთვის აუცილებელი საბაზისო ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე.

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს:

- პედაგოგიკა - ფსიქოლოგიის ბლოკს - 27 კრედიტი;
- სასკოლო პრაქტიკის ბლოკს - 6 კრედიტი;
- საგნების სწავლების ბლოკს - 27 კრედიტი:
  - ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება - 12 კრედიტი;
  - მათემატიკის სწავლება - 9 კრედიტი;
  - ბუნებისმეტყველების სწავლება - 6 კრედიტი.

პროგრამის სტრუქტურა აგებულია ლოგიკურად, მარტივიდან რთულისკენ. გარკვეულ კურსებზე არსებობს დაშვების აუცილებელი წინაპირობები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პროგრამის ცოდნის თანმიმდევრულად და სრულფასოვნად ათვისებას. თუმცა, სასწავლო კურსებისათვის - „მათემატიკის სწავლების მეთოდიკა დაწყებით საფეხურზე“ და „მათემატიკის სწავლება დაწყებით საფეხურზე ინკლუზიური განათლების პირობებში“ არ არის განსაზღვრული დაშვების წინაპირობები. მათი შინაარსიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნება დაშვების წინაპირობად განესაზღვროს პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ბლოკის ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა „სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა“, „განმავითარებელი შეფასება დაწყებით საფეხურზე“, “ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები”, შესაბამისად.

სასკოლო პრაქტიკის შემაჯამებელ კურსზე დაშვების წინაპირობაა პედაგოგიკა-ფსიქოლოგიისა და სპეციალობის კომპონენტის პირველი სემესტრის სავალდებულო კურსები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის მომზადებას საკლასო და კლასგარეშე აქტივობების დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ჩატარებისათვის აუცილებელი ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით. შემაჯამებელი სასკოლო პრაქტიკის კურსის ფარგლებში ჯამდება სტუდენტის მიერ მიღებული პრაქტიკული გამოცდილება, რაც დასტურდება შემაჯამებელი პორტფოლიოს ფარგლებში წარმოდგენილი ნაშრომებით.

პროგრამის დასრულებისას სავალდებულო კომპონენტია - შემაჯამებელი პორტფოლიო“, რომლის შეფასების ფორმაა „ჩათვლა“. კურსდამთავრებულს პროგრამა დასრულებულად ჩაეთვლება შემაჯამებელი პორტფოლიოს დადებითად შეფასების შემთხვევაში.

პროგრამის შინაარსის შემუშავებისას გათვალისწინებულია პოტენციურ დამსაქმებლებთან

| |
|---|
| (სკოლის დირექტორები), პრაქტიკის განხორციელებაში ჩართულ მასწავლებლებთან, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების პროგრამისა (240 კრედიტიანი) და არსებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე / უცხო ენა) სტუდენტებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფებისა და ინტერვიუების შედეგები. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს. სასწავლო კურსებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა ეყრდნობა დარგში არსებულ უახლეს კვლევებსა და წყაროებს.<br>პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების წარმოდგენილი მოდელი (კურსის შინაარსთან მიბმული პრაქტიკული აქტივობები - კურსებში ჩაშენებული სასკოლო პრაქტიკა (ჯამურად 6 კრედიტის მოცულობით) ეყრდნობა ევროპის წამყვანი უნივერსიტეტიტების გამოცდილებას.<br>პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულია არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც სტუდენტს საშუალებას აძლევს საკუთარი ინტერესების და საჭიროებების შესაბამისად გაიღრმავოს სავალდებულო კურსებით განსაზღვრული კომპეტენციები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;<br>• პროგრამის სემესტრული გეგმა;<br>• სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>• პრაქტიკის დოკუმენტი;<br>• მასწავლებელის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების კვლევა;<br>• შეხვედრების ოქმები;<br>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგ-ვერდი;<br>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• რეკომენდებულია, განესაზღვროს „მათემატიკის სწავლების მეთოდიკა დაწყებით საფეხურზე“ და „მათემატიკის სწავლება დაწყებით საფეხურზე ინკლუზიური განათლების პირობებში“ სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან და ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში გათვალისწინებულ შესაბამისი დონის აღმწერთან.

პროგრამის სწავლის შედეგების რუკა აჩვენებს კავშირს პროგრამის სწავლის შედგებსა და სასწავლო კურსებს შორის. იგი დეტალურად აღწერს პროგრამის რომელ სწავლის შედეგზე/შედეგებზე გადის ესა თუ ის ბლოკი და თითოეულ ბლოკში შემავალი ცალკეული კურსი.

აღსანიშნავია, რომ „ბუნებისმეტყველების სწავლების საფუძვლები დაწყებით საფეხურზე“

| |
|---|
| და „ბუნებისმეტყველების სწავლების თანამედროვე მიდგომები" სასწავლო კურსების შედეგების ჩამოყალიბებისას გამოყენებულია ანალოგიური შინაარსის ფრაზები. სასურველია აღნიშნული სასწავლო კურსების შედეგები გაიწეროს უფრო მკაფიოდ და კონკრეტული კურსის შინაარსზე მორგებულად.<br>სასწავლო კურსების კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება ლოგიკურია. მათი განსაზღვრისას გათვალისწინებულია კურსის შინაარსი, კურსში ჩაშენებული პრაქტიკის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა და შინაარსი. სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო კურსების მიზნისა და შედეგების მიღწევას.<br>თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.<br>ყოველსემესტრულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა, რომელიც ითვალისწინებს კურსის ისეთი ასპექტების შეფასებას, როგორიცაა კურსის შინაარსი, მოცულობა, სტუდენტთა დატვირთვა და შეფასების სისტემა. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომი ხდება კურსის ლექტორისთვის და პროგრამის ხელმძღვანელისთვის კომპონენტის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.<br>სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა. ზოგიერთი კურსის ფარგლებში გამოიყენება ე.წ. რიდერები, რომლებიც ეფუძნება პედაგოგიკის/განათლების სფეროში არსებულ უახლეს მიღწევებს. სავალდებულო ლიტერატურა და რიდერები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო მათი ელექტრონული ვერსიები განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და გაზიარებულია არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსის" საშუალებით ან/და შესაბამისი კურსის "moodle" სისტემაზე.<br>უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონული ბაზებზე (ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Clarivate Anallytics, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა) ხელმისაწვდომობა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სწავლის შედეგების რუკა;
- სილაბუსები;
- ბიბლიოთეკის რესურსები;
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსი";
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- სასწავლო კურსების შეფასების კითხვარი;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, „ბუნებისმეტყველების სწავლების საფუძვლები დაწყებით საფეხურზე" და „ბუნებისმეტყველების სწავლების თანამედროვე მიდგომები" სასწავლო კურსების შედეგები გაიწეროს უფრო მკაფიოდ და კონკრეტული კურსის შინაარსზე მორგებულად.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და

| ტრანსფერული უნარების განვითარება |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), დარგის სპეციფიკიდან და პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს - სასკოლო პრაქტიკას ორი ფორმატის შესაბამისად:

1. სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა, რომლისთვისაც დათმობილია ჯამურად 6 კრედიტი;
2. სასკოლო პრაქტიკა, რომლისთვისაც დათმობილია 6 კრედიტი.

ჩაშენებული პრაქტიკა ინტეგრირებულია პროგრამის ოთხ სასწავლო კურსში და ფოკუსირებულია იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი. სასკოლო პრაქტიკის დამოუკიდებელი კომპონენტი ახდენს იმ ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების აკუმულირებას, რომელსაც სტუდენტი ეუფლება თეორიული კურსებისა და კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის გავლის პერიოდში. სასკოლო პრაქტიკას სტუდენტი გადის პროგრამის დამამთავრებელ სემესტრში.

პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესში ჩართულები არიან ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების პროგრამების პრაქტიკის კოორდინატორი, შესაბამისი კურსის ლექტორი, განათლების სკოლის საბჭო და პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებელი.

თვითშეფასების ანგარიშიდან და პრაქტიკის სილაბუსიდან ირკვევა, რომ სტუდენტთა პრაქტიკის ფარგლებში განსახორციელებელ სავალდებულო აქტივობებს გეგმავს კურსის ხელმძღვანელი. პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასებაში მონაწილეობს ლექტორი და პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებელი. კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის შემთხვევაში, ლექტორი პრაქტიკის კომპონენტში სტუდენტის შეფასებისას ითვალისწინებს პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლისგან მიღებულ უკუკავშირს.

თვითშეფასების ანგარიშით და ინტერვიუს შედეგებით იკვეთება, რომ პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში პრაქტიკის ხელმძღვანელ მასწავლებელსა და კურსის ხელმძღვანელს შორის თანამშრომლობა გასაძლიერებელია. ამისათვის, დაიგეგმა სასემინარო შეხვედრები პრაქტიკის ხელმძღვანელ მასწავლებლებთან პრაქტიკის

დაგეგმვის, შუალედურ და დასკვნით ეტაპზე განხორციელების დროს. გარდა ამისა, პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის ფარგლებში სასემინარო შეხვედრების ნაწილი ტარდება პრაქტიკის ადგილზე - სკოლებში, რაც მასწავლებლებთან საინფორმაციო ან/და ერთობლივ სამუშაო შეხვედრებსაც ითვალისწინებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- პრაქტიკის დოკუმენტი;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- მასწავლებელის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების კვლევა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, შემუშავდეს პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში პრაქტიკის ხელმძღვანელ მასწავლებელსა და კურსის ხელმძღვანელს შორის თანამშრომლობის გაძლიერების მექანიზმი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
|---|
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სასწავლო კურსებში და პრაქტიკულ კომპონენტში გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება შესაბამისი კურსის/კომპონენტის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.<br>სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ინტერაქტიული ლექციების, სემინარების, ლაბორატორიული მუშაობების და პრაქტიკის ადგილზე (სკოლები, მუზეუმები და სხვ.) ვიზიტების ფორმატში. სასწავლო კურსით გათვალისწინებული თეორიული მასალის განმტკიცება ხდება სემინარებზე, ხოლო თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება ხორციელდება პრაქტიკის ადგილზე.<br>სწავლების პროცესში გამოიყენება დისკუსია/დებატები, სიტუაციის ანალიზი (Case Study), პრეზენტაცია, პროექტებით სწავლება, კოგნიტური დიაგრამებით სწავლება, ლაბორატორიული მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები, უკუკავშირის მეთოდები და სხვ. დეტალური ინფორმაცია მოყვანილია სილაბუსებში.<br>სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით, უნივერსიტეტში დანერგილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა. უნივერსტეტში ასევე დანერგილია ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომლებიც შეიძლება დაინიშნოს წინასწარ, საოფისე საათების ფარგლებში, ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე “არგუსის” ან კორპორატიული მეილის საშუალებით. აღნიშნული შესაძლებლობა გაწერილია სილაბუსებშიც.<br>სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• სილაბუსები;<br>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, |

| |
|---|
| დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;<br>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✕ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპონენტები ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდობა, გამჭვირვალობა. |

შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებს და დასკვნით შეფასებას. თითოეული სასწავლო კურსი ფასდება სულ მცირე სამი კომპონენტით. შუალედური შეფასება ხორციელდება სემესტრის სალექციო-სასემინარო მეცადინეობისთვის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. დასკვნითი შეფასება ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდის განმავლობაში.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვარი. დასკვნითი შეფასებისთვის ეს ზღვარი არ აღემატება მისთვის განსაზღვრული ქულების 60%-ს. დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილი არ აღემატება 30 ქულას.

სწავლის შედეგების გასაზომად ცალკეული კურსის ფარგლებში შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს კურსის მიზნებითა და სწავლის შედეგებით განსაზღვრული სწავლის მიღწევების შეფასებას.

კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსის” საშუალებით. სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი შეფასების სისტემის გაცნობას ლექტორი ახორციელებს პირველივე ლექციაზე.

უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას საპრეტენზიო განაცხადით მიმართოს ფაკულტეტს/სკოლას საპრეტენზიო კომისიის შექმნის და შესაბამისი პროცედურების ინიცირების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. გამოკითხვის შედეგები გამოიყენება შეფასების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დამატებით ინსტრუმენტად გამოიყენება შემაჯამებელი პორტფოლიო, რაც წარმოადგენს პროგრამის დასრულების სავალდებულო მოთხოვნას. შემაჯამებელ პორტფოლიოს სტუდენტი წარმოადგენს პროგრამის დასასრულს. პორტფოლიოს ფარგლებში სტუდენტს არ ენიჭება კრედიტი და ქულა. იგი ფასდება „ჩათვლის“ პრინციპით. სტუდენტის მიერ შემაჯამებელი პორტფოლიოსთვის შერჩეული მტკიცებულებების შეფასებას ახორციელებს სპეციალურად შექმნილი კომისია, რომელიც სტუდენტს აწვდის წერილობით განმავითარებელ უკუკავშირს წარმოდგენილ ნაშრომებთან დაკავშირებით.

არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი” უზრუნველყოფს თითოეული კურსის ფარგლებში სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზს ავტომატურ რეჟიმში. შედეგები ხელმისაწვდომია ლექტორისთვის და გამოიყენება შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა;
- სილაბუსები;
- პრაქტიკის დოკუმენტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი.
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“;
- სტუდენტთა გამოკითხვის ინსტრუმენტები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✕ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველი პირებისთვის იმართება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც მათ ეძლევათ დეტალური ინფორმაცია სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობების შესახებ. უნივერსიტეტში მოქმედებს პროგრამული სისტემა „არგუსი“, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები ირჩევენ სასწავლო კურსებს, ეცნობიან სილაბუსებს, ამოწმებენ მიღებულ შედეგებსა და დაგროვილ კრედიტებს. „არგუსი“ გამოიყენება როგორც საკომუნიკაციო საშუალება, სტუდენტებს ეძლევათ აკადემიურ პერსონალთან და სხვა სტუდენტებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა. ასევე, სტუდენტებს აქვთ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისგან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სპეციალისტებისაგან. კონსულტაციები ტარდება როგორც მცირე ჯგუფებში, ისე ინდივიდუალურ რეჟიმში. თუმცა, |

კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ სტუდენტობის პერიოდში ვერ მიიღეს უკუკავშირი ლექტორების სემესტრულად განხორციელებადი შეფასების შედეგებზე დაყრდნობით ადმინისტრაციის მხრიდან გატარებული ღონისძიებების შესახებ.

საუნივერსიტეტო ცხოვრება მრავალფეროვანია და დატვირთულია კონფერენციებით, საჯარო ლექციებით, სხვადასხვა ღონისძიებებით, რის შესახებაც სტუდენტები ინფორმაციას ღებულობენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდიდან და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისგან. მასწავლებელთა მომზადების პროგრამა ერთწლიანია, ამიტომ არ ითვალისწინებს საერთაშორისო მობილობას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სილაბუსებში არ არის წარმოდგენილი სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობა, თუმცა მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ისინი „არგუსის“ მეშვეობით იღებენ სწრაფ უკუკვშირს პროგრამაში ჩართული პერსონალისგან. ასევე, სტუდენტებს ეძლევათ საშუალება, წინასწარ, შეთანხმების საფუძველზე, შეხვდნენ თითოეული კურსის/საგნის ხელმძღვანელს ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში და მიიღონ კონსულტაცია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების კითხვარი;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;
- დასაქმებულ პირთა დატვირთვის მონაცემები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, სილაბუსებში გაიწეროს სტუდენტებთან დამატებითი საკონსულტაციო საათების რაოდენობა.
- სასურველია, სტუდენტებმა მიიღონ უკუკავშირი ლექტორების სემესტრულად განხორციელებადი შეფასების შედეგებზე დაყრდნობით ადმინისტრაციის მხრიდან გატარებული ღონისძიებების შესახებ.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის**

შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

აღნიშნული პუნქტი არ ექვემდებარება შეფასებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| ○ |
|---|
| **შეფასება**<br><br>ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე |

| |
|---|
| პერსონალით. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება სავსებით შეესაბამება მათ ფუნქციებსა და არსებულ კანონმდებლობას. ისინი არიან პროფესიონალები, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება. მათი უმეტესობა არის ჩართული საქართველოში განათლების პოლიტიკის შემუშავებაში. კერძოდ, არიან მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის, ეროვნული სასწავლო გეგმის, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის თანაავტორები, მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების საბჭოსა და სამუშაო ჯგუფის წევრები.<br>ბოლო 5 წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის მიერ ქართულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა (ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებულია 32 ნაშრომი, საერთაშორისო ჟურნალებში - 22) ადასტურებს მათ კომპეტენტურობას შესაბამის სფეროებში. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი პერსონლის რეზიუმე (CV) და შევსებული ანკეტა საჭიროებს განახლებას.<br>მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით.<br>პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები და ინფორმაცია მათ განმახორციელბელ პერსონალზე გაწერილია სემესტრების მიხედვით. არის თუ არა დატვირთვის სქემა სემესტრულად განახლებადი ვერ დავასკვნით, რადგან პროგრამა ახალია.<br>პროგრამა ითვალისწინებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმსა და მეთოდოლოგიას, რომლის მიხედვით სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა უნდა შეადგენდეს 1 პროფესორს არაუმეტეს 70 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 2 პროფესორისა თითოეულ პროგრამაზე. დაგეგმილია პროგრამაზე ყოველწლიურად 60 პირის მიღება. პროგრამას ახორციელებს 6 აფილირებული და 8 მოწვეული აკადემიური პერსონალი, მათ შორის 3 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი და 8 მოწვეული პედაგოგი. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.<br>აკადემიური და მოწვეული პერსონალი ახორციელებს სტუდენტების კონსულტირებას |

| |
|---|
| „არგუსის“ მეშვეობით, ასევე იმართება ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები სტუდენტებთან წინასწარ შეთანხმების საფუძველზე. პროგრამების განვითარებისთვის, ყოველი სემესტრის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს ანონიმურ გამოკითხვებს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისე სტუდენტები.<br>პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება, არის პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, განათლების სკოლის ხელმძღვანელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია საერთაშორისო პროექტებში, რომელთა მიზანია განათლების მიმართულებით საუნივერსიტეტო კურიკულუმის განვითარება და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობას იღებს მომიჯნავე პროგრამების შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამების განხორციელებაში, სასწავლო პროცესში, სტუდენტების კონსულტირებაში.<br>პროგრამის სტუდენტები უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.<br>აღსანიშნავია, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არ არის შეყვანილი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>• პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;<br>• აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV და პირადი საქმეები;<br>• პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;<br>• აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა;<br>• აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;<br>• სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;<br>• პროგრამის ხელმძღვანელის CV და პირადი საქმე;<br>• თვითშეფასების კითხვარი;<br>• ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;<br>• ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან;<br>• ინტერვიუ სტუდენტებთან და კურდამთავრებულებთან. |
| **რეკომენდაციები:** |

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, განახლდეს პროგრამაში ჩართული ზოგიერთი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმე.
- სასურველია, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში განახლდეს ინფორმაცია პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პროგრამის განხორციელებაში ჩართული გამოცდილი და მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული

| |
|---|
| საქმიანობის შეფასებას აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში - სწავლების შეფასებას.<br>მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე უნივერსიტეტში არსებული აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი საზღვრავს მათ საჭიროებებს, გეგმავს და სთავაზობს სხვადასხვა ტიპის ტრენინგ-კურსებს, რომლებიც მიმართულია მათ პროფესიულ განვითარებაზე. ცენტრი ასევე სთავაზობს პროგრამის ხელმძღვანელებსა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ ადმინისტრაციულ პერსონალს პროგრამის შექმნის, განხორციელებისა და შეფასების სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებული ტრენინგებს.<br>უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური, რომელიც ხელს უწყობს სამეცნიერო პერსონალს კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, მაგ., ეხმარება საპროექტო განაცხადების მომზადებასა და წარდგენაში, გრანტების ადმინისტრირებაში, შესაბამისი დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებასა და მოზიდვაში, საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევითი შეხვედრების ორგანიზებაში და სხვ.<br>პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ატარებს სამუშაო შეხვედრებს და ტრენინგებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებთანაც უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული მემორანდუმი, სადაც მომიჯნავე პროგრამების სტუდენტები გადიან პედაგოგიურ პრაქტიკას. ასევე, აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურ მონაწილეობას იღებენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, ჩართულები არიან საერთაშორისო პროექტებში (მაგ., „Curriculum Reform for Promoting Civic Education and Democratic Principles in Israel and in Georgia (CURE)“; „აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (INTEGRITY)“; „ცვლილება საკლასო ოთახში: ინოვაციური სწავლებისა და სწავლის წახალისება სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ (PRINTeL)). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ თვითშეფასების კითხვარი;<br>○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობების მქონე პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) საქმიანობის შეფასების წესი;<br>○ სასწავლო პროცესში ჩართულ მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;<br>○ პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;<br>○ საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებლები; |

- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ვიზიტის დროს დავათვალიერეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკა, SALIS ლაბორატორია. საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია საჭირო მატერიალური რესურსი, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს

| |
|---|
| პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგების მიღწევას. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მომხმარებელს საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით და ინტერნეტით. SALIS ლაბორატორიის აღჭურვილობა ხელს უწყობს საბუნებისმეტყველო განათლების მიმართულებით სწავლების თანამედროვე მეთოდების განვითარებასა და დანერგვას.<br>ბიბლიოთეკაში არსებობს პროგრამის სილაბუსებში აღნიშნული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა ნაბეჭდი წიგნების და ელექტრონული წიგნების სახით. ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი, რომელშიც შესაძლებელია წიგნების მოძებნა. ასევე, სტუდენტს აქვს საშუალება დაინახოს, წიგნის რამდენი ეგზემპლიარია დარჩენილი დარბაზში, რამდენ ხანში დააბრუნებენ მას ბიბლიოთეკაში, ვინ სარგებლობს ამ პერიოდში ამ წიგნით და დაამყაროს კონტაქტი იმ პიროვნებასთან, რომელსაც გატანილი აქვს წიგნი.<br>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ფლობს მდიდარ ელექტრონულ რესურსს, რომელიც შეიცავს შემდეგ საერთაშორისო აკადემიურ ბაზებს, ჟურნალებს, ელექტრონულ წიგნებს: Science Direct, Scopus, Clarivate Analytics, ISI Web of Knowledge, ProQuest Research Library, ProQuest Dissertations & Theses Global, Taylor & Francis, Pivot - funding connected, Sage, LexisNexis, Ebsco Host, Humanity Source, Political Science Complete, J Stor, J Stor e-books collection, BioOne, Project Muse, Cambridge Journals, Directory of Open Acces Journals, IMF eLibrary, Royal Society Publishing, Britannica Encyclopedia, The New England JOurnal of Medicine, Elgaronline, Project Gutenberg, Journal of Autism and Development Disorders, Hinary. სამეცნიერო ბაზებზე წვდომა შესაძლებელია როგორც უნივერსიტეტის სივრციდან, ასევე უნივერსიტეტის მიღმა.<br>უნივერსიტეტი იყენებს ელექტრონულ პროგრამა „არგუსს“, რომელშიც თითოეული კურსის ხელმძღვანელი ტვირთავს საჭირო ელექტრონულ სახელმძრვანელოებს ან/და რიდერებს.<br>სასწავლო კურსებში გამოყენებულია სწავლების ელექტრონული პორტალი „moodle”, სადაც აკადემიურ პერსონალს აქვს პირადი სამუშაო სივრცეები, რომლებსაც იყენებენ სტუდენტებთან ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციებისთვის.<br>სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესახებ. მომხმარებელთა ინტერაქციის ხელშესაწყობად ბიბლიოთეკის თანამშრომლები ატარებენ ტრენინგებს: „სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენებისა“ და „საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების გამოყენების შესახებ“. ასევე, ბიბლიოთეკა საუნივერსიტეტო საზოგადოებას სთავაზობს საერთაშორისო ექსპერტებისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადენლების ტრენინგებს და სამუშაო შეხვედრებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

- უნივერსიტეტის მატერიალური და ტექნიკური რესურსები;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები: https://library.iliauni.edu.ge/
- ელექტრონული სწავლების პორტალი: https://moodle.iliauni.edu.ge/
- ბიბლიოთეკის საიტი https://library.iliauni.edu.ge/
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ლექტორების ანაზღაურება, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო მასალები და სხვა დანახარჯები, გაუთვალისწინებელი ხარჯი და თანხა განვითარებისთვის.<br>სკოლებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების თანახმად უნივერსიტეტს არ გააჩნია ფინანსური ვალდებულებები.<br>ფაკულტეტის დეკანთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის ბიუჯეტი თანხვედრაშია უნივერსიტეტის ბიუჯეტთან. ინტერვიუს დროს ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, რომ კვლევებზე, აკადემიური და მოწვეული პერსონალი პროფესიულ განვითარებაზე იხარჯება უნივერსიტეტის და არა პროგრამის ბიუჯეტი, ხოლო სწავლების განვითარებისთვის და პროექტებისთვის იყენებენ ბიუჯეტში ადმინისტრაციული ხარჯებისთვის გამოყოფილ თანხას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• თვითშეფასების კითხვარი;<br>• პროგრამის ბიუჟეტი;<br>• ფაკულტეტის ბიუჯეტი;<br>• უნივერსიტეტის ბიუჯეტი;<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებაზე და მათი განვითარების ხელშეწყობაზე. ფაკულტეტის ერთ-ერთი პროგრამა - განათლების სკოლა - ყოველწლიურად ირჩევს საბჭოს შემადგენლობას, რომელშიც შედის თითოეული პროგრამის და პროგრამის ფარგლებში არსებული თითოეული მიმართულების (საგნობრივი ჯგუფის) წარმომადგენელი. განათლების სკოლის საბჭო ფაკულტეტის |

| |
|---|
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და სპეციალისტთან ერთად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.<br>ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის თვითშეფასების პროცესში და ანგარიშის შედგენაში მონაწილეობას იღებდნენ აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად იყო ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შემუშავების პროცესში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• თვითშეფასების კითხვარი;<br>• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;<br>• შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;<br>• შეხვედრების ოქმები;<br>• საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>• პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის გუნდური მუშაობა, კოლეგიური და თანამშრომლობითი გარემო. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>✕ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამა ახალია. პროგრამის გარე შეფასების ფარგლებში, წარმოდგენილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლის შეფასება. შეფასებაში აღნიშნულია, რომ „წარმოდგენილი პროგრამები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ექსპერტების აზრით სრულად აკმაყოფილებს როგორც მასწავლებლის დარგობრივ მახასიათებლებს, ისე მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს". წერილში ხაზგასმულია აღნიშნული პროგრამის ამოქმედების მნიშვნელოვნება, და რომ წარმოდგენილი მიმართულებით სკოლებში არსებობს პროფესიული კადრების დეფიციტი, რადგან ამ საგნებს ასწავლიან მასწავლებლები, რომელთა მეოთხედი საპენსიო ასაკისაა; ამავდროულად, მასწავლებელთა მესამედს არა აქვს დადასტურებული საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციები.

ასევე, წარმოდგენილია თბილისის ორი საჯარო სკოლის წარმომადგენლის უკუკავშირი, სადაც აღნიშნულია, რომ პროგრამა გაამარტივებს სკოლებში კადრების მოდინებას და არ შექმნის კომპეტენციის ვაკუუმს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების კითხვარი;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ფუნქციების დროებითი შემსრულებლის წერილი;
- 122 სკოლის დირექტორის და 82 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილის შეფასება;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართული სტრუქტურული ერთეულები ატარებენ კვლევებს, რომლის შედეგები მიეწოდებათ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც აფასებენ საქმიანობის სუსტ და ძლიერ მხარეებს. გაუმჯობესების სტრატეგიების განსაზღვრის შემდეგ ანგარიშები ეგზავნება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს. მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად არის ჩართული შეფასების, შედეგების ანალიზის და რეკომენდაციების გაცემის ეტაპებზე.

| |
|---|
| პროგრამების კვლევის, სერვისების, რესურსების შეფასება ხორციელდება საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების/შეფასების მეშვეობით. კვლევების შედეგად მოპოვებული ინფორმაციით სარგებლობენ უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები და პროგრამის ხელმძღვანელები.<br>პროგრამის შეფასებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს სატელეფონო გამოკითხვებს სტუდენტებთან (სწავლების ბოლო სემესტრში) და კურსდამთავრებულებთან (1 წლის შემდეგ). ასევე, წელიწადში ერთხელ ტარდება ცალკე პრაქტიკის გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ სტუდენტები, სკოლების დირექტორები და პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი.<br>სასწავლო კურსების შეფასება ეგზავნება სტუდენტებს ელექტრონული ფორმით კურსის დასრულების შემდეგ. იგი ანონიმურია და ითვალისწინებს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ ნაწილს. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს შესაძლებლობა იხილოს შეფასების შედეგები „არგუსში“. ხარისხის სამსახურის უფროსმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ რაოდენობრივი კვლევის შედეგები ძირითადად გადახრილია საშუალოსკენ ან დადებითისკენ, ამიტომ ხშირ შემთხვევაში თვისებრივი მონაცემებისგან უფრო საჭირო ინფორმაცია მიიღება.<br>პრობლემების იდენტიფიცირების შემდეგ, ხარისხის სამსახური აგროვებს მონაცემებს და აწვდის შესაბამის სტრუქტურებს. შემდეგ ფაკულტეტის საბჭო, პროგრამის ხელმძღვანელები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად ზრუნავენ პროგრამის გაუმჯობესებაზე.<br>დამსაქმებლების და პარტნიორი ორგანიზაციების შეფასებას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი/სტუდენტური სერვისები ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული ad-hoc შექმნილი ინსტრუმენტებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;<br>• ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;<br>• ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>• ინტერვიუ სტუდენტებთან და კურდამთავრებულებთან;<br>• ინტერვიუ დამსაქმბლებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ |

| |
|---|
| დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✕ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: “ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები)”

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42 (ორმოცდაორი)

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

დიანა მჭედლიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ქეთევან ქობალია